# ჩვენი თაობა

№3, მაისი, 2013 წელი

იძულებით გადაადგილებული მოსწავლე-ახალგაზრდობის გაზეთი


## ქრისტე აღდგა!



აღდგომას, უდიდეს ქრისტიანულ დღესასწაულს, თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ მე-4 საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო კრებამ, 325 წელს, დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ეს ხვდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე. ამიტომ განეკუთვნება აღდგომა მოძრავ დღესასწაულებს. გაზეთის რედ. კოლეგია ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ულოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

უფლის მფარველობა არ მოგკლებოდეთ!

გაზეთი „*ჩვენი თაობა*“ მადლობას უხდის კომპანია „ბილაინის“ სამეგრელოს რეგიონალურ ფილიალს გაზეთის ამ ნომრის სრულად დაფინანსებაში (200 ლარი). ასევე მადლობას უხდის „ლიბერთი ბანკის“ სამეგრელოს რეგიონალური ფილიალის მმართველს *ბესიკ აბრალავას*, რომელმაც შემოსწირა გაზეთს 50 ლარი.

## მილოცვა

გაზეთ „*ჩვენი თაობის*“ რედკოლეგია და აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ულოცავს ამავე სკოლის დირექტორს *მერაბ ხინჩოლიას* დაბადების დღეს – 15 მაისს. უსურვებს ჯანმრთელობას, წარმატებულ და პოზიტიურ დღეებს.

## განცხადება

სასკოლო არდადეგებთან დაკავშირებით გაზეთი „ჩვენი თაობა“ მომდევნო ნომერს გამოსცემს სექტემბრის დასაწყისში.

# მერაბ ჯინჯოლია: „ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი"

*1998 წლის მაისის ცნობილი მოვლენების შემდეგად აფხაზეთის გალის რაიონის გაგიდის საშუალო სკოლა შეიქმნა ზუგდიდის რაიონის სოფ.*


მერაბ ჯინჯოლია

*ახალკახათში პროფილური ლიცეუმის ბაზაზე. ლიცეუმის ყველა ოთახი გამოყენებული იქნა საკლასო ოთახად. 1998 წლიდან 2001 წლის მაისამდე სკოლა მუშაობდა დღის მეორე ნახევრიდან. 2001 წლის სექტემბრიდან სკოლას დროებით გადაეცა ლიცეუმისთვის განკუთვნილი ოთახები (ლიცეუმის დახურვის გამო). 2006 წლის იანვრის თვიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, გაგიდის საშუალო სკოლა დღეს ფუნქციონირებს ახალკახათის დევნილთა კომპაქტურად ჩასახლებულ ტერიტორიაზე აფხაზეთის საჯარო სკოლის სახელწოდებით, რომლის დირექტორია დაარსებიდან დღემდე მერაბ ჯინჯოლია.*
*სკოლა ქართული სულის მატარებელია და კვლავ აგრძელებს ქართული საქმის კეთებას.*

*— გთხოვთ, მოგვიყევით თქვენზე.*

— დავიბადე 1955 წლის 15 მაისს. ვარ დევნილი გალის რაიონიდან, კერძოდ სოფელ გაგიდიდან.დავამთავრე სოფელ ოტობაიის საშუალო სკოლა. მას შემდეგ ვიყავი სამხედრო სამსახურში, გავიარე სამხედრო-საოფიცრო კურსები. 1978-81 წლებში ვმუშაობდი სომხეთში ოფიცრად, სამღვარო-სადესანტო ნაწილის ოცეულის უფროსად. ეს იყო 1981 წელს. მერე კი დავიწყე მუშაობა სკოლაში დაწყებითი სამხედრო სწავლების მასწავლებლად. 1992-96 წლებში დავამთავრე ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1996 წელს დავინიშნე სკოლის დირექტორად.

*— მოგწონთ ცხოვრების თქვენს მიერ არჩეული გზა?*

— დიახ, მე მიყვარს ბავშვები და ვარ გულწრფელი მათ მიმართ. ურთიერთობაში კი, მეგობრულიც და მომთხოვნიც.

*— დღევანდელი გადასახედიდან როგორია თქვენს მიერ განვლილი გზა?*

— ჩემს მიერ განვლილ გზას შევაფასებდი დადებითად, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი. როგორც მიდის განვითარების პროცესი ისე ვცდილობ, მეც რაღაც ახლის შეძენასა და დანერგვას სკოლაში.

*— რა სამომავლო გეგმები გაქვთ სკოლასთან დაკავშირებით?*


თეკლე ციცუტანია

— ვფიქრობ, სკოლისა და მისი შემოგარენის კეთილმოწყობაზე. რათა შევუქმნა სასიამოვნო გარემო და სწავლის განწყობა ჩემს მოსწავლეებს. აგრეთვე ვმუშაობ ბავშვების ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე. ჩემი დიდი სურვილია სკოლას ჰქონდეს პროფესიული განათლების რომელიმე კურსი, რომლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულმა მიიღოს შესაბამისი სერთიფიკატი. სკოლას აქვს სამი სხვადასხვა პროფესიის სწავლების არჩევის უფლება.

*— რას გვეტყოდით სკოლის კოლექტივზე?*

— ისინი არიან ძალიან შრომისმოყვარე, თბილი და მეგობრულები, ამიტომაც მოსწავლეებს არ უჭირთ მათთან ურთიერთობა.

*— რას უსურვებდით ჩვენს გაზეთს?*

— თქვენი გაზეთი მეტად საინტერესოა იმითაც, რომ ის ერთადერთი ქართული გაზეთია, რომელიც ყოველთვიურად აწვდენს ხმას აფხაზეთში არსებულ საშუალო სკოლებს. გისურვებთ, ინვესტორი გამოგიჩნდეთ, რომ მეტის მიღწევა შესძლოთ.

*მოამზადა*
*თეკლე ციცუტანიამ,*
*აფხაზეთის მე-14 საჯა...*

სტუმრები

# თინა ჭაჭუა: „დაე, მომავალმა თაობამ იცხოვროს აღორძინებულ საქართველოში"

ჩვენი რესპონდენტი თინა ჭაჭუა სოფელ ორსანტიის ამბულატორიას წლებია სათავეში უდგას.

– გამარჯობათ! როგორც ვიცი, ორსანტიის ამბულატორიას წლებია ხელმძღვანელობთ. გთხოვთ, მოგვიყევით თქვენზე.

– დავიბადე ქალაქ სოხუმში და დავამთავრე მე-5 საშუალო სკოლა ვერცხლის მედალზე. 1967 წელს ჩავირიცხე ლენინგრადის პედიატრიის ინსტიტუტში. მეორე კურსზე კი, საბუთები გადმოვიტანე ქალაქ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1972 წელს დავამთავრე. მყავს მეუღლე და ორი შვილი. ქალიშვილისგან მყავს ერთი შვილიშვილი. ბიჭი კი წელს დაქორწინდა.

*– ექიმის პროფესია რატომ აირჩიეთ?*

– საერთოდ ხულ მიყვარდა პედიატრობა. მინდოდა დახმარება გამეწია ავადმყოფი ბავშვებისთვის.




*– თავიდან, რომ ირჩევდით პროფესიას, არჩევანს ხომ არ შეცვლიდით?*

– ეს პროფესია იმდენად მიყვარს, რომ დაუფიქრებლად იგივე არჩევანს გავაკეთებდი.

*– როგორი იყო თქვენი პირველი სამუშაო დღე ამ სოფელში? რამდენი წელია რაც ხართ ექიმი?*

– მე ორსანტიაში იძულებით მოვხვდი, ომის გამო. განვიცადე ძალიან, რომ მომიწია დამეტოვებინა ჩემი მშობლიური ქალაქი. ჩემი სამსახური, სადაც 23 წელი ვმუშაობდი (ინფექციურ საავადმყოფოში). სოხუმის მერე მუშაობა დავიწყე აქ და დღემდე ვემსახურები ამ სოფელს. ჩემთვის ეს სოფელიც ისეთივე ძვირფასია, როგორც ჩემი პროფესია.

*– რამდენად გრჩებათ დრო ოჯახისთვის?*

– ახლა მრჩება. მანამდე არა, აქ როდესაც გადმოვედი ძალიან დატვირთული ვიყავი, რადგან როგორც მოგეხსენებათ, ორსანტია საზღვრისპირა სოფელია და ომის პერიოდში ღამითაც მიწევდა პაციენტთა მოვლა. მშობიარეებიც მიგვიღია. ამ ყველაფერს კი ჩემი ექთნების დახმარებით ვახერხებდი. ნინო ზაქარაიასა (კაბინეტის მედდა) და მზია მამფორიასთან (პატრონაჟი მედდა) ერთად.

*– რას უსურვებდით ჩვენს მკითხველებს?*

– ვუსურვებდი ჯანმრთელობას, გამთლიანებულ საქართველოში ცხოვრებას და წინსვლას. უფალი ყოფილიყოს თქვენი მფარველი. დაე, მომავალმა თაობამ აღორძინებულ საქართველოში იცხოვროს.

მოამზადა ელენე ნიძაშვილმა,
ორსანტიის საჯარო სკოლა

# ლილი ბერაია: „მე მაინტერესებს ყველაფერი რაც ჩვენი მუზეუმის ირგვლივ ხდება"

*„ზუგდიდის დადიანების მუზეუმის დირექტორი ქალბატონი ლილი ბერაია დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

– ვარ ერთი ჩვეულებრივი ქალბატონი, მუზეუმში 33 წელია ვმუშაობ. როგორც კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, დავიწყე მუშაობა ამ მუზეუმში. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. მე მაინტერესებს ყველაფერი რაც ხდება ჩვენი მუზეუმის ირგვლივ. მინდა ჩვენი მუზეუმი ახალ-ახალი იდეებით ავავსოთ, განვავითაროთ, მინდა თანამშრომლებში სუფევდეს პარმონია.



საუბარში ჩაერთო მუზეუმის თანამშრომელი *ნაზი ქორთუა*, რომელმაც გვითხრა, რომ ქლაბატონი ლილი ბერაია არაჩვეულებრივი ადამიანია. მას ჩვენ არ ვიცნობთ, როგორც დირექტორს, არამედ, როგორც შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ადამიანს. მას მიენიჭა ღირსების მედალი. მისმა უწმინდესობამ ილია მეორე დააჯილდოვა წმინდა გიორგის ოქროს მედლით.

*– რას გვეტყვით მუზეუმზე, როდის დაარსდა და ვინ იყო პირველი დირექტორი?*

– ზუგდიდის დადიანების სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი დაარსდა 1921 წელს, სამეგრელოს ყოფილ მთავართა სასახლეებში დაცული არქივებისა და ნივთების ბაზაზე, რომელიც განთავსებულია დადიანისეულ სასახლეში. პირველი დირექტორი კი იყო *აკაკი ჭანტურია*.

აქ წარმოდგენილია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ამსახველი ექსპონატები. სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის და მისი ოჯახის წევრთა პირადი ნივთები.

*– რა სახის ექსპონატებია დაცული მუზეუმში და თუ შეგიძლიათ დაგვისახელოთ ზოგიერთები?*

– მუზეუმის ფონდში დაცულია 50000-მდე ექსპონატი და ეროვნული (ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასასრულის დადიანების მემორიალური ნივთებით დამთავრებული) კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები.

მუზეუმის საგანძურს წარმოადგენს უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე-ყოვლადწმინდა ღვთის მშობლის კვართი, რომელიც 1453 წელს საქართველოში ბიზანტიის დაცემის შემდეგ გადმოუტანიათ.

*– მუზეუმის ექსპონატები გასულა თუ არა ქვეყნის ფარგლებს გარეთ?*

– არა, არ გასულა, მაგრამ 2002 წელს და ამჟამადაც გამოფენილია ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში – თბილისში.

*– და ბოლოს, რას უსურვებდით ჩვენს გაზეთს?*

– თქვენს გაზეთს ვუსურვებ, რომ მკითხველთათვის გაეცნოთ სიძველეები და ის უნიკალური ნივთები, რაც არსებობს ჩვენს რეგიონში. აგრეთვე გისურვებთ წარმატებების მიღწევას თქვენს საქმიანობაში და მალე მოველოდოთ თქვენი საქმიანობის აფხაზეთში გაგრძელება

მოამზადა ლიანა უსარიძემ,
ზუგდიდის მე-14 საჯარო სკოლა

**შემოქმედი ადამიანები სამყაროს სხვანაირად უყურებენ და ასახავენ. თითოეულ სიტყვაში გრძნობები იქსოვება. სწორედ ამიტომ არ ველი მკაცრ შეფასებებს. ჩემს რესპოდენტებს ვუსურვებ წარმატებებს ცხოვრების გზაზე და გთავაზობთ მათ გულისნადებს.**

## დათო კუტალია: „სიყვარული ყველაზე დიდი ნიჭია, რაც კი ღმერთმა ადამიანს უბოძა"

*დიდინეძის საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე დათო კუტალია სხვებისაგან უბრალოებით გამოირჩევა, არის საოცრად თბილი პიროვნება, წერს როცა მუზა მოდის, ეს კი მაშინ ხდება, თუ კარგ ხასიათზეა. საყვარელი მწერალია ნოდარ დუმბაძე. უყვარს კომპიუტერთან მუშაობა და მისი კარგად მესწავლითაა დაინტერესებული. გთავაზობთ მის შემოქმედებას...*

* * *

სიყვარული, ეს ულამაზესი გრძნობა, პირველად 7 წლის ასაკში მეწვია, მაშინ გათავისებული არ მქონდა თუ რა გრძნობასთან მქონდა საქმე და ეს უბრალო ბავშვური გატაცება მეგონა. შემიყვარდა გოგო, რომელიც ჩემზე ბევრად დიდი ასაკის იყო. სულ იმას ვცდილობდი ჩემი ბავშვური ჭკუით რომ მისი ყურადღება მომეპოვებინა, მაგრამ გავიდა წლები და მივხვდი, რომ ეს გრძნობა ჩემში თანდათან ქრებოდა და ცხოვრებას სულ სხვა თვალით შევხედე და უკვე 14 წლის ასაკში კვლავ შემიყვარდა, ისიც ჩემზე უფროსი იყო. ალბათ გაიფიქრებთ რაღა უფროსებს გადაეკიდაო, მაგრამ სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის. ჯერ ვფიქრობდი როგორ მეთქვა მისთვის, თუ რას ვგრძნობდი მის მიმართ გარკვეული დროის შემდეგ კი ყველაფერი ვუთხარი რაც გულში მქონდა, მაგრამ მან მითხრა, რომ მისი გული სხვას ეკუთვნოდა. ჩემმა გრძნობამ სახე იცვალა და იმ დღის შემდეგ სიყვარული უკვე ტანჯვად და სევდად მექცა, მაგრამ საბედნიეროდ, ამ მძიმე პერიოდში. გვერდში მედგნენ ჩემი მეგობრები, რომლებიც მეხმარებოდნენ ამ ტკივილის დაძლევაში. ახლა 18 წლის ვარ და უკვე გათავისებული მაქვს თუ რა არის სიყვარული, ამდენმა იმედგაცრუებამ მასწავლა ის, რომ ამ გრძნობას დიდი მოფრთხილება სჭირდება და კიდევ სანამ შეიყვარებ უნდა დაფიქრდე. მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ ვიპოვე ადამიანი, რომელსაც ძალიან ვუყვარვარ. მე მასში აღმოვაჩინე ის თვისებები რაც მხიბლავს ადამიანში. ის არავის არ ჰგავს. ის ერთადერთია. დღეს მე მჯერა წრფელი სიყვარულის არსებობის, რომელიც უკვე მეწვია. ჩემი აზრით ადამიანმა ერთხელ უნდა გამოსცადოს ეს ულამაზესი გრძნობა, სანამ ცოცხალია. გახსოვდეთ, სიყვარული ყველაზე დიდი ნიჭია, რაც კი ღმერთმა ადამიანს უბოძა და უბედურია ის ვინც ამ გრძნობის გარეშე წავა ამქვეყნიდან. სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა. ამიტომ, მოდით გავუფრთხილდეთ დიდ გრძნობას, რომელსაც სიყვარული ქვია.




* * *

გეძებდი გიპოვე, გიწოდე ანგელოზი,
შენ ჩემს ცხოვრებას მიეცი აზრი.
შენით ვარსებობ და შენით ვსუნთქავ,
შორსა ხარ, მაგრამ ახლოს ხარ გულთან.
ჩემო ფერიავ, ძლიერ მიყვარხარ,
ღამე სიზმრებში შენ გხედავ მხოლოდ.
თეთრი ვარდ გვირილებით გვირგვინებს გიწნავ,
სულ შენზე ვფიქრობ და შენით ვცოცხლობ.
ამ გამოხედვას და ლამაზ თვალებს
დავუწერ ლექსებს. მინდა, რომ გწამდეს
უფალს შევსთხოვე ვიყოთ სულ ერთად!
მე შენ მიყვარხარ, ეს მსურდა მეთქვა.

* * *

ჩემო ძვირფასო, ძლიერ მიყვარხარ,
ეს გული მხოლოდ მუდამ შენთვის ძგერს,
შენა ხარ ჩემი ცხოვრების აზრი
მიყვარხარ ჩემი თბილი და ნაზი.

## ლუკა ფარცვანია: „ვოცნებობ ხვალინდელ დღეზე, რადგან ის არავის არ აქვს გარანტირებული"

წერა მე-7 კლასიდან დაიწყო, წერს ყველაფერზე... სწავლობს სოფელ ოქტომბრის საჯარო სკოლის VIII კლასში, გატაცებულია ფეხბურთით. მისი საყვარელი პოეტი ნიკო გომელაურია. გადაწყვეტილი აქვს გახდეს მსახიობი.



საინტერესო პიროვნებაა, ოცნებობს ხვალინდელ დღეზე, რადგან თვლის, რომ იგი არავის არ აქვს გარანტირებული...

* * *

შენ ამაღებინე კალამი ხელში,
შენ დამაწერინე სიტყვები ლექსში.
შენ გამიშალე შენი გულის ფარდა,
შენ დამიწაფე ხო სიცოცხლის გათვლა.
შენ მე მასწავლე ცხოვრება ფერთა,
შენ მე მასწავლე წუხილი ნერვთა.
მე ვინ ვარ? ნელი ნიავი?
იქნება ადამიანი?
მაგრამ რა იყო? რა მოხდა?
განა სიცოცხლემ გამომცრა?
მე ერთხელ ვპოვე შენში სიცოცხლე.
შენ რაღა ჰპოვე ნეტავი ჩემში?
მიყვარდი, შენთვის თავსაც კი ვიკლავდი...
შენთვის სიცოცხლესაც კი გავწირავდი...
ჩემს სიცოცხლეში დარჩი ოცნებად
მე კი ხალხისთვის დიდ გამოცნობად.

* * *

შუა ზღვაში, რომ ჩამაგდო,
ცურვით გამოვალ მე გარდმო
და შენთან მოვალ ყინულო,
რომ ენების ძალით მე გადნო...
ახლა ვბედავ, რომ გემუქრო,
ტალღები მომსდევს მე უფრო.
იმედი უკვე მიკვდება
სიცოცხლე უფრო მინდება,
ამ დროს შორს დგახარ, მიყურებ,
მე კი საცაა ვიყმუვლებ.
ჩემი ტანჯვისგან ნახურებ,
ჩემს ტანჯვას როგორ გაჰყურებ?
სიკვდილს შეჰყურებს თვალები
ხომ იცი, რომ მელანდები.
ნაპირსა მივალ ახლოსა
ამოვალ როგორც მაგ დროსა.
მოვალ ძალიან ახლოსა
მოვალ და ჩაგეხუტები,
მაშინ ვერ წავალ მემგონი,
მაშინღა ალბათ შენდობი.

## ზაალ ბიძინაშვილი: „არ მინდა ცხოვრებაში ვინმემ გული მატკინოს, რადგან ვიცი, ეს წყენა დიდხანს გამყვება"

ზაალ ბიძინაშვილი სოფ. ახალკახათის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლეა. უყვარს ყველა, ვინც მის ირგვლივ ტრიალებს, მეგობრული და სამართლიანია. არ სურს ცხოვრებაში ვინმემ გული ატკინოს, რადგან წყენა დიდხანს გაჰყვება. ლექსებს წერს თავისთვის, ჩუმად, ამასთანავე, ხშირად ხატავს და ამით თავის სულიერ სამყაროს გადმოსცემს. მისი მიზანია ასახელოს თავისი სოფელი და სკოლა.


ზაალ ბიძინაშვილი

## შენ, საქართველოვ!

შენ ოდითგანვე უამრავი მტერი გყოლია
თურქნი და სპარსნი.
შენ ოდითგანვე სისხლს გწოვდნენ
და არ გაძლნენ მაინც.
პატარა იყავ, მაგრამ გულით
უსაზღვროდ დიდი...
არ დჰკარგავს სიმამაცე
და შენი ხიბლი.
დღემდე მოსულხარ, მოგიტანია
ათასი სხივი,
შენ სიყვარულის
და ამტანობის დაგიდგამს ფიცი
ხარ მარგალიტი, ხარ თილისმა
უზომოდ დიდი...
მე მიხარია, რომ შენი ვარ
და არა სხვისი...

## ჩემო სამშობლო

მე მიყვარს ჩემი სამშობლო, ენა,
მე მიყვარს ჩემი მამული, რწმენა
მე მიყვარს ჩემი ქვეყნის ქედები,
მე მიყვარს ჩემი სოფლის ველები.
ღმერთმა რად შემქმნა ადამიანად
რად არ მოვედი მინდვრად, იადა,
რომ დამეფარა ჩემი მამულის
სისხლდადენილი ყველა იარა.
ამ სიყვარულით დავფარავ მდელოს,
ამ სიყვარულით ავირბენ ფერდობს,
ამ სიყვარულით მივწვდები ზეცას
და სიყვარულით ჩავსძახებ ქვემოთ.
მიყვარხარ ძლიერ სამშობლოვ ჩემო,
შენ ხარ უცვლელი შენ ერთადერთო...
მუდამ გფარავდეს ულრუბლო ზეცა
ამას შენა გთხოვ უფალო ღმერთო!

# ცისანა წითაშვილი: თქვენს თაობაში არის „ქართული გენი, ქართული სული და ქართული სისხლი.”

*ჩვენი გაზეთის სტუმარია ორსანტიის საჯარო სკოლის პედაგოგი ცისანა წითაშვილი.*

– გთხოვთ, გაეცნოთ ჩვენს მკითხველს.

ვსწავლობდი ორსანტიის საჯარო სკოლაში. მქონდა ძალიან საინტერესო ბავშვობა. ვიყავი წარმატებული მოსწავლე. ვწერდი ლექსებს. ვაქვეყნებდი რესპუბლიკურ პრესაში ვიყავი გაზეთ „ნორჩი ლენ-ინელის” კორესპოდენტი. ზაფხულის არდადეგებს




ვატარებდი აქტივისტთა ბანაკში. საქართველოს ყველა კუთხეში მყავდა ძალიან საინტერესო მეგობრები.რომლებთანაც დღემდე ვმეგობრობ. სკოლის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა ჩემს მშობლიურ სკოლაში. 1986 წელს ჩავირიცხე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მქონდა ბედნიერი სტუდენტობა. ჩემი სტუდენტობა დაემთხვა ეროვნული მოძრაობის გაძლიერების პერიოდს საქართველოში. მქონდა ურთიერთობა ზვიად გამსახურდიასთან და მერაბ კოსტავასთან. უნივერსიტეტი წარმატებით დავამთავრე. სტუდენტობის წლებში ვიყავი ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბის წევრი, სადაც ქართველი, აფხაზი, რუსი და სომეხი ახალგაზრდები ვკითხულობდით ჩვენს ნაწარმოებებს. ვმართავდით პოეზიის საღამოებს.ვთანამშრომლობდი გაზეთ „აფხაზეთის უნივერსიტეტთან”. ომის შემდეგ დავიწყე მუშაობა ორსანტიის საჯარო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია და კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით,რადგან სკოლისა და მოსწავლეების გარეშე ვერ წარმომიდგენია. თითქმის მთელი თაობა გაიზარდა ჩემს ხელში.მყავს მეუღლე და ორი შვილი.მენატრება სოხუმი. სოხუმი უცნაური იყო, იქ ვინც ცხოვრობდა ყველა ეროვნებით „სოხუმელი” იყო. მჯერა, ჩვენ დავბრუნდებით.

– *რას ურჩევთ ჩვენს თაობას.*

– მე მინდა გითხრათ, რომ პირველ რიგში იყოთ მიზანდასახულები. თითოეულ თქვენგანშია უნიკალური ნიჭი, ოღონდ მთავარია ირწმუნოთ საკუთარი თავის. იმრომოთ ბევრი და აუცილებლად მიაღწევთ მიზანს, რადგან სწორედ თქვენ ხართ ის თაობა, ვის ძარღვებშიც ქართული გენი, ქართული სული და ქართული სისხლია. მინდა იცოდეთ, რომ ძალიან მიყვარხართ.

– *თქვენ როგორც აღნიშნეთ, წერდით და დღემდე წერთ ლექსებს. ხომ არ აჩუქებდით ჩვენს მკითხველს თქვენს რამდენიმე ლექსს?*

– რატომაც არა, სიამოვნებით.

* * *

ამარი ქარი ფოთლებს
ჩამობერტყავს,
ტოტებს გაამიშვლებს
თავნება ქარი,
ამქვეყნად მრავალი ცოდვა
ტრიალებს.
ამქვეყნად მრავალი სიკეთეც არის.
ფიქრები, ფიქრები ებრძვიან
ერთმანეთს,
შემდეგ კი იქმნება სამყარო
ზღაპრული.
ანგელოზები მიმველ ფრთებს
მიქნევენ.
ჩემს წინ კი გზებია შორი და
ფარული.

* * *

ცისფრად ილვრება ცისფერი ფიქრები,
ცისფერი ჩემი გრძნობის ფერია,
შემომეგება მე ცისფერ გზაზე,
ცისფერთვალება ჩემი ფერია.
გადაიტანა გულმა დარდები,
ზღვა და ხმელეთი გრძნობით იარა,
ათიათასჯერ მომიკლეს გული,
ათიათასი მქონდა იარა,
მერე მოფრინდა ცისფერი მტრედი
აცრემლებული დაეცა მიწას,
ეს დაკორტნილი ფაქიზი ფრთები,
მე ჩემი ფრთები მეგონა იმ წამს.
და მერე ისევ აიჭრა ცაში,
ათიათასჯერ შემომიარა,
ათიათასმა მწველმა იარამ
გულიდან უცებ გადაიარა.

* * *

ქუჩაში ულვთოდ გაჭყლიტეს ძაღლი
და დაიღვარა ყველას წინ სისხლი,
წვიმა და სისხლი ლებავდა ქუჩას.
მას შემდეგ მუდამ მაწუხებს ფიქრი,
მე მაგონდება შემლილი ქუჩა,
როგორ დაინთხა ქუჩაში ცოდვა
და შიშით ღამეს ვებრძვი მმაგივით.
საიდან ვიცი, რომ ეს ცხოვრება
მეც არ გამთელავს ერთ დღეს ძაღლივით.

# ამერიკულ კუთხეს უკვე თავისი ჰიმნიც აქვს

***ნოდარის სტუმარია ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან არსებული ამერიკული კუთხის კოორდინატორი სოფო კვარაცხელია.***



სოფო კვარაცხელია

*— გვიამბეთ საკუთარ თავზე, რა განათლება გაქვთ მიღებული?*

— What can you say about you? What education have you received?

— დავამთავრე უცხო ენათა უნივერსიტეტი თბილისში და ასევე მაქვს დამთავრებული ეკონომიკის ფაკულტეტი ზუგდიდის პოლიტექნიკურ კოლეჯში.

— I graduated Ilia Chavchavadze university of foreign languages and at the same time the economic faculty in Zugdidi polytechnic college.

*— რამდენი ხანია რაც ამერიკულ კუთხეს ხელმძღვანელობთ?*

— How long have you been leading the American corner?

— უკვე სამი წელიწადია ვმუშაობ ამერიკულ კუთხეში.

— I have been working for three years at the American corner.

*— ამ წლების განმავლობაში რა გააკეთეთ ამერიკულ კუთხეში?*

— What have you done during this years?

— ჩემი დანიშვნის დღიდან აქტიურად ჩავერთე ამერიკული კუთხის მართვაში. დასაწყისისთვის შევქმენი მოხალისეთა ჯგუფი, რომლებიც ხელმძღვანელობენ სხვადასხვა კლუბებს, ატარებდნენ ლექციებს, სემინარებს, პრეზენტაციებს და ინგლისური ენის გაკვეთილებს ყოველგვარი გადასახადის გარეშე. აღსანიშნავია ისიც,რომ უცხოელი მოხალისე პედაგოგებიც არიან ჩართული ამ პროცესში. გარდა ლექცია სემინარებისა, ტარდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, პოეზიის საღამოები, მუსიკალური ივენტები, სპორტული შეჯიბრებები სკოლებს შორის.

— Since my appointment to this position I actively was involved to run American corner. For the beginning was established a group of volunteers who are leading various clubs and conducting different kind of lectures, workshops, English lessons and presentations for free. Where are involved foreign volunteer teachers as well as. Beside the lectures and workshops there are held cultural events, poetry nights,music events, sport competitions among school students.

რაც შეეხება მუსიკალურ ივენტს, ყველა ივენტი ეძღვნება კულტურათა შორის ინტეგრაციას. სადაც მონაწილეობას იღებენ უცხოელი სტუმრები ქართველებთან ერთად და ასრულებენ სიმღერებს.

Almost all of the music events are dedicated to integration between the cultures.Where foreign guest are participated,with our students.We teach Georgian and Mengrelian folk songs them.

ყოველ წელს გვაქვს საზაფხულო სკოლა, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება მიიღონ ინფორმაცია ამერიკის ისტორიის შესახებ და ასევე სხვადასხვა საკითხებზე.

Every year there is a summer school where students have opportunity to get information about American history lifestyle and various issues.

მივიღეთ მონაწილეობა ფილმების გადაღების კონკურსში, რომელიც გამოცხადდა ამერიკის საელჩოს მიერ. ასევე ამერიკულ კუთხეს დავუწერე ჰიმნი, რომლის ტექსტიც და მელოდიაც მე მეკუთვნის.

— We also made films in the competition, which was announced by the U.S. Embassy. Also Zugdidi American corner has its own anthem and the melody and the lyric of the song belongs to me.

*— რა სამომავლო გეგმები გაქვთ?*

— What are your future plans?


მაია თოდუა

— ძალიან ბევრი რამ მაქვს გეგმაში, უპირველეს ყოვლისა, მინდა, ჩამოვაყალიბო მუსიკალური ჯგუფი ამერიკულ კუთხეში და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ მოსწავლეებს მივცეთ საშუალება მოახდინონ თავიანთი შესაძლებლობების რეალიზაცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად მირზა შველიძე და მე უცხოელ სტუმართან ერთად ვქმნით ქართული ხალხური სიმღერების წიგნს, რომელიც შესრულდება გიტარაზე და სიმღერები გადათარგმნილი იქნება ინგლისურ ენაზე, ასევე ინგლისური ასოებით იქნება დაწერილი სიმღერები, რათა მარტივად შეძლონ უცხოელმა სტუმრებმა ქართული ხალხური სიმღერების შესრულება.

I have got a lots of plans,but my dream is to creat group in American corner and to do a lot for students and give them opportunity to make realization of their abilities. It should be noted that I together with MirzaShvelidze, and Peter Bohan are currently creating a song book of Georgian folksongs that can be adapted and played on guitar Andwill be translated by English language then song lyrics will be written in English letters in order to be more simple to perform Georgian folk songs for foreign guests.

*— რას უსურვებდით გაზეთს?*

— What do you wish our newspaper?

— გისურვებთ წარმატებებს და წინსვლას.

— I wish you success and lots of progress for a long time of period.

P.S. ამერიკული კუთხის გვერდები შეგიძლიათ იხილოთ facebook-ზე შემდეგ მისამართებზე: Zugdidi American corner და American music corner. ჩვენი გაზეთის რედკოლეგიის წევრები მაია თოდუა და ივდით ხაზალია ამერიკის საელჩოს დიდ მადლობას უხდიან იმისთვის, რომ ეს კუთხე არსებობს ზუგდიდში და მას ჰყავს ასეთი გულისხმიერი მენეჯერი სოფის სახით.

P.S. American corner facebook-pages can be found at the following locations: Zugdidi American corner and American music corner.Editorial board members of our newspaper Maia Todua and Ivditi Khazalia are grateful to U.S. Embassy for an appointment such a considerate manager as Sofi Kvaratskhelia and for creating American corner in Zugdidi.

*მოამზადა მაია თოდუამ,*
*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა*

## „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ორგანიზაციამ „ოდაბადე" 4 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ღონისძიება „ახალი სახეები" ჩაატარა"


ივდით ხაზალია

ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ქალაქსა და რაიონში ერთადერთი სკოლისგარეშე მრავალპროფილიანი სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება მოზარდთა ინტელექტუალურ, ზნეობრივ და სულიერ განვითარებას და აქტიურადაა ჩართული ქვეყნის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ბავშვთა ორგანიზაციამ „ოდაბადე" 4 აპრილს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ჩაატარა ღონისძიება „ახალი სახეები", სადაც აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე *ივდით ხაზალია* საკუთარი შემოქმედებით მსმენელის წინაშე წარსდგა. იგი ლექსებს 7 წლიდან წერს. გაგაცნობთ ერთ-ერთ ლექსს მისი შემოქმედებიდან.

### ტატოს

სულით ობლობა ძნელია თურმე,
დაწყევლილია პოეტის ბედი,
არავის უმხელს, გულში რა უდევს,
მალულად უთქმელ ტკივილებს ებრძვის!
ვერ გადალახე ბედის საზღვარი,
რადგან გრძნობაში არ გაგიმართლა,
სხვაზე გათხოვდა ლამაზი ქალი,
ლექსებში მერე სევდამ იმატა...
რით განუგეშო, მითხარი, ტატო,
სიყვარულია ტანჯვის სათავე.
ძნელია, როცა ყოველწამს ნატრობ
და მასზე ფიქრით ათენ-აღამებ.
ქალმა განაცვალა ფული და ტახტი
ან იქნებ, ძალით მისცეს დადიანს.
ეჭვებ, გაგცვალა დედოფლობაზე...
ქალი, რა ვუყოთ, მაინც ქალია!
ლამაზი იყო ქორწილი, მაგრამ
დედოფალს უცებ გული წასვლია,
ხატავდა თეთრი პატარძლის კაბა,
ის ბოლოს მაინც დადიანს გაჰყვა,
გრძნობის იარებს ვერავინ შეელის,
ტკივილებს მაინც უნდა გავუძლოთ!
არა! არ არის, პოეტი ყბედი!
ხანდახან, მასაც უნდა გაუგოთ!..


თამთა გვარამია

*მოამზადა თამთა გვარამიამ,*
*აფხაზეთის მე-14 საჯარო სკოლა*

## „იასამნებად გეტყობა წლები..."

### (ეძღვნება ოტობაიის 1-ლი საშუალო სკოლის ქართული ენის მასწავლებლის ქალბატონ ლიანა მამუზიას ხსოვნას)



გაზაფხული რახანია ეშხში შევიდა. სიცოცხლის ჯადოთილისმით შემკობილა გარემო. გაიხარა ყველაფერმა და, რა თქმა უნდა, იასამანმაც... ამ პერიოდში სკოლაში სიარული უფრო სახალისოა, დამწვარი და აქა-იქ ობლად მიტოვებული ნასახლარები საცოდავად აღარ გამოიყურებიან მწვანეში ჩაფლული ეზოებიდან, გზად ათასფერ სურნელს გაგვაფენს სამურზაყანოს უცხოდ მოლაღანე ყვავილები... შევცქერით სკოლაში მასწავლებლები და ბუნების სიუხვით გამხნევებულნი, ერთმანეთსაც ვამხნევებთ იმ რწმენით, რომ ხვალე ჩვენი აღსაზრდელების იმედად გათენდება!

„იასამნებად გეტყობა წლები!.." –ასე ვეტყოდი ხოლმე ჩვენი სკოლის ყველაზე უხუცეს, სათნო და ტკბილმოუბარ ლიანა მასწავლებელს, როცა უხასიათოდ ყოფნას შევატყობდი. ქართული ენის უბადლო მოძღვარს ისე არაფერი გაახარებდა, როგორც ეს პოეტური კომპლიმენტი. თბილად გაიღიმებდა, მუხაოფს გამიბამდა და ათას საინტერესო რამეს მოიგონებდა ხოლმე. მოსაგონარი კი მართლაც ბევრი ჰქონდა. ნახევარ საუკუნეზე მეტი შეალია აღზრდის საქმეს, იყო წარმატების წლები, მერე ომის საზარელი დღეები, დევნილობა, სათიო შეკრებილი ჩვენი ბავშვების თავშესაფარში აღზრდა და გამხნევება... მერე მშობლიურ კერაზე დაბრუნება, ოჯახისა და ცოდნის კერების ნაცვერდალზე ახალი კოცონის დანთება... ეს ყველამ გამოვიარეთ, გამოიარა ლიანა მასწავლებელმაც. ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა მოღვაწეობას, წლების მანძილზე იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, თავის გამოცდილებას უშურველად უზიარებდა კოლეგებს. სოფლისთვის იყო საპატიო ქალბატონი და ყველა თაობის საყვარელი აღმზრდელი. „ლიანა მასწავლებელი!" –ამით ყველაფერია ნათქვამი იმ ადამიანებისთვის, ვინც იცნობდა ან თუნდაც ერთხელ მაინც შეხვედრია მას... და მაინც, აქ, აფხაზეთში იასამანს სხვა ელფერი აქვს, თითქოს უფრო სველი ფერი, მაშინაც კი, როცა მცხუნვარე სხივები აჭერს. ალბათ ცრემლით თუა სველი, აფხაზეთის მოურჩენელი სატკივარით დაღვრილი აფხაზეთის შვილთა ცრემლით. „...მერე რა რომ სველია, სველი იასამანი..." – ისტატურად უთქვამს პოეტს. ზოგჯერ მეჩვენება, რომ ჩვენი სატკივარი თითქოს მავანთათვის „მერე რა" გახდა. თითქოს ეს ტკივილი სხვებს გაუნელდათ. ჩვენთვის კი ყოველდღიური ყოფა ამ ტკივილით იწყება. უბრალოდ ეს ტკივილი ახლა სამუდამოდ მიყუჩდა ლიანა მასწავლებლის გულში. თუ, ვინ იცის, იქნებ ამ ტკივილმა მოიყუჩა გული...ვინ იცის!

ბრწყინვალე შვილეულში ინება უფალმა მისი გარდაცვალება. ჩვენ გვჯერა, რომ მისი გზა ხსნილია სასუფევლისკენ. მართლა იასამნებად გეტყობოდათ წლები, ჩვენო სათნო და საყვარელო ლიანა მასწავლებელო!

*მოამზადა,*
*ბელა ხუფენია*

გაზეთი „ჩვენი თაობის" რედკოლეგია ოტობაიის საშუალო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს უსამძიმრებს ღვაწლმოსილი პედაგოგის ლიანა მამუზიას გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს კოლექტივსა და მის ოჯახს.

*რედაქტორი:* ივდით ხაზალია (ივდო ოტობარი)
*გამომცემელთა ჯგუფი:* ივდით ხაზალია, ელენე ნითამშვილი, მაიკო თოდუა, თეკლე ციქუტანია, ლიანა ესართია. *ხელმძღვანელ-კონსულტანტი:* ლიანა (გურანდა) კვიტია.

*ჩვენთან დაკავშირების მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ*
*შემდეგ ნომრებზე: 599 95 85 10, 558 38 73 07*
*ან ელექტრონულ ფოსტაზე –* **chveni.taoba@**